



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

**საია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ იწყებს
დავას სენაკის საკრებულოს უფლებამოსილების
შენწყვეტასთან დაკავშირებით**

**საია საქართველოს მთავრობის
წინააღმდეგ იწყებს დავას სენაკის
საკრებულოს უფლებამოსილების
შენწყვეტასთან დაკავშირებით**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2022 წლის 12 აგვისტოს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო განკარგულება საკრებულოს 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გასამართი თვითმმართველი თემის - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ. განკარგულების შესაბამისად, ვახტანგ წურნუმიას 2022 წლის 31 მაისიდან ვადამდე შეუწყდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დადგინა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის №64.04 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში თვითმმართველი თემის - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები უნდა გაიმართოს 2022 წლის 1 ოქტომბერს.

აღსანიშნავია, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო ბოლოს 2021 წლის 17 დეკემბერს შეიკრიბა. ამ თარიღის შემდეგ იყო სხდომის ჩატარების 10-მდე უშედეგო მცდელობა. ხაზგასასმელია, რომ სენაკის საკრებულოში, კვორუმის გარეშე სხდომები გაიმართა 2022 წლის 9 თებერვალსა და 23 თებერვალს, რომელზე მიღებული გადაწყვეტილებებიც პირველი ინსტანციის სასამართლომ ბათილად ცნო, ხოლო 2022 წლის 23 თებერვლის შემდგომ, სენაკის საკრებულოს შეკრება აღარც კი უცდია.

გამომდინარე იქიდან, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო დღეის მდგომარეობით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ შეკრებილა, **□□□□□□□□□□** თვითმმართველობის კოდექსის **□□□□□□□□□□□□□□□□□□□□** უფლებამოსილების შეწყვეტისა და რიგგარეშე არჩევნების ჩატარების საფუძველს წარმოადგენს.

საიამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც მოთხოვნილი იყო **□□□□□□□□□□** ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2022 წლის 12 აგვისტოს გამოცემული №153/2022 განკარგულების ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა, იმ მიზეზით, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ საქართველოს მთავრობას არ აქვს მიღებული დადგენილება, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მთავრობამ საკუთარი ინიციატივით არ შეასრულა კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, საიამ მიმართა მას განცხადებით და მოითხოვა აქტის გამოცემა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტილად ცნობის თაობაზე. ამ დროისთვის არ არის ცნობილი მთავრობის ოფიციალური პოზიცია განცხადებაში დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

იმედს გამოვთქვამთ, საქართველოს მთავრობა დროულად მოახდენს სათანადო

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



რეაგირებას და იმსჯელებს საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტილად ცნობასთან დაკავშირებით. საია უახლოეს დღეებში გეგმავს მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.